სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული
დავების განხილვის საბჭო
The Public Procurement-related
Dispute Resolution Council

ბრძანება

N DIS02/17

17-01-4-202302201614

20/02/2023

ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული ადმინისტრაციული წარმოების ვადის აღდგენის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემასა (www.procurement.gov.ge) და ამავე სისტემაში არსებულ საბჭოსთვის განკუთვნილ სპეციალურ ელექტრონულ მოდულში (https://tenders.procurement.gov.ge/dispute) დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზების გამო, 2023 წლის 17 თებერვალს, გარკვეული დროით, შეუძლებელი გახდა ამავე სისტემებით სარგებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის და „ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული ადმინისტრაციული წარმოების ვადის აღდგენის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 თებერვლის №522 განკარგულების საფუძველზე:

1. აღდგენილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის – „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოსთვის“ განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული მოდულის (https://tenders.procurement.gov.ge/dispute) მეშვეობით, საბჭოსთვის წარსადგენი საჩივრის, მათ შორის, დაზუსტებული საჩივრის, წარდგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდზე www.drc.gov.ge.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ია შავერდოვი

საბჭოს თავმჯდომარე
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო